პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | კვირა, 18 იანვარი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

№ 13 (701) 1 და 2 ქ.მ.დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა. ტელ. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

# ფაშიზმის მესაფლავე იწყებსთა-ვის მუშაობას

ორ წელზე მეტია, რაც ...ტალიაში ბრძანებლობს ფა...იზმი თავისი ბელადი მუსო...ინით. როდესაც გამეფდა ის, ...ურჟუაზია მასზე დიდ იმედებს ...ყარებდა. იტალიის იმპერია...ისტები ფიქრობდენ, რომ მუ...ლინი და მთელი მისი შავი ...ალა მოსპობდა კომუნისტურ ...ძრაობას იტალიაში და სა...უდამოდ უზრუნველყოფდა კა...ტალიზმის ბატონობას. მაგ...ამ ეს არ მოხდა. დახვრეტით, ...მებით, მუშათა ორგანიზაცი...ს დარბევით, ...ემით, ახრჩ...ით და აწიოკებით ფაშიზმა ...ამც თუ არ მოჰკლა რევო...უციონური სულისკვეთება ...ტალიის პროლეტარულ და ...ლეხთა მასებში, არამედ პირი...ით დიდათ შეუწყო ხელი მის ...ღრმავებას. თავისი უპასუხისმ...ბლო თარეშით მუსოლინის ...იკტატურამ არამც თუ არ ...აამყარა ნორმალური მშვიდო...იანი ცხოვრება მხარეში, არამედ ...ფრო გააღრმავა ეკონომიური ...რიზისი და გაზარდა მშრომელ...ა ხალხის სიძულვილი ბურჟუა...იულ წესწყობილებისადმი. და ...ჩვენ ვხედავთ ბურჟუაზია ...ეუშინდა თავის უხეშ დიკ...ატურას. როგორც ვიცით ფა...იზმი ეს ბურჟუაზიის თავ აღე...ული დიქტატურაა. ამ დიქტა...ურამ მართალია გამარჯვება მო...ტანა კაპიტალს, მაგრამ არა ...იდიხნით. თავისი ტლანქი, უხე...ი მოქმედებით ფაშიზმა უფ...ო გაამწვავა კლასობრივი სი...ულვილი მშრომელთა ხალხში. ...ას გრძნობს ბურჟუაზიის ერ...ი ნაწილი და მას სურს ცო...ათი შეანელოს ეს დიქტატუ...ა და უფრო ლმობიერი სახე ...ისცეს მას. ეს არ სურს ბრძა...ებლობის მიჩვეულ მუსოლინს ...ომელსაც ფეხებზე ჰკიდია ყო...ელგვარი კანონიერება და სა...ართლიანობა.

ამნაირად თავის ბატონობის ...სამე წელზე იტალიის ფაშიზმი ...ახლოვდება თავის აღსასრულს. ...ს სწყევლის მთელი მშრომელი ...ხალხი. ის გამოუსადეგარი ია...ალი შეიქმნა ბურჟუაზიი...სთვის. მაგრამ „ოპოზიცი...ონური“ ბურჟუაზია სუსტია თავის ბრძოლაში მუსოლინის წინააღმდეგ. ის ებრძვის მუსოლინს თითის საშუალებით. ეს სავსებით გასაგებია. ბურჟუაზიას არ სურს ძლიერ გაამწვავოს თავისი დამოკიდებულება მუსოლინის წინააღმდეგ, ვინაიდან ჰას ეშინია ამ ბრძოლის დროს თავი არ წამოყოს მესამე ძალამ—პროლეტარიატმა და კომპარტიამ და არ გაანადგუროს ორივენი. მართლაც არსებითად არაფრით არ განსხვავდება მუსოლინი ბურჟუაზიულ ოპოზიციონერებისაგან. პირველი აძრობს ტყავს მუშებს აშკარად, მეორეთ სურთ ასეთი მოიმოქმედონ უფრო მშვიდობიანი საშუალებებით.

მუსოლინი დღეს ველარ გრძნობს თავის თავს მტკიცედ. ისიც თანდათან მიდის დათმობაზე ბურჟუაზიულ ოპოზიციასთან და საარჩევნო კანონიც კი გამოიმუშავა, რომელიც არჩევნების უფლებას ანიჭებს მხოლოდ შეძლებულთა კლასს.

მაგრამ ყოველივე ეს ვერ იხსნის მუსოლინსა და მის თანამოძმეებს სიკვდილისაგან.

მისი აღსასრული მოახლოვებულია. და ამის საუკეთესო მტკიცება იტალიის კომუნისტის გრეკოს სიტყვაა, რომელიც მან წარმოსთქვა პარლამენტში. თავისი რევოლიუციონური გამოსვლით გრეკომ ამცნო მთელ ქვეყანას, რომ იტალიის კომუნისტური პარტია არამც თუ არ დასამარებულა, პირიქით ის გაიზარდა, გამოიბრძმედა ფაშიზმთან ბრძოლაში და მზად არის გადავიდეს შეტევაზე.

იტალიის ფაშიზმა ვერ შესძლო და ვერც შესძლებდა კომუნიზმის დამარცხებას იტალიაში. თავის ცდებში ის დამარცხდა და გაკოტრდა, კომუნიზმი კი იზრდება, ძლიერდება და იწყებს შეტევითი ბრძოლას ძირ მომპალ ფაშიზმის წინააღმდეგ.

ვუსურვოთ მას ადრე მოეღოს მისთვის ბოლო.

# ხელები მოკლე გაქვთ.
## „დოუესის გეგმა საბჭოთა კავშირისთვის“.
### „დოუესის შეკერილი „ფრაკი“ ვიწრო იქნება საბჭოთა მუშებისათვის“

„ვესტმინსტერ გაზეტი“ აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა საფინანსო კონფერენციის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენდა არაოფიციალური მოლაპარაკება მოკავშირეთა ვალების შესახებ.

ამ წინასწარ აზრთა გაცვლა-გამოცვლამ იმდენად მოამზადა ნიადაგი ამ საკითხის გადასაჭრელად, რომ შეიძლება ახლო მომავალში მოწვეულ იქნას ახალი საერთაშორისო კონფერენცია მთელი საკითხის საბოლოო მოსაგვარებლად. ამასთან დაკავშირებით გაზეთი გადმოგვცემს ცნობას უკანასკნელ დროს წამოყენებულ დოუესის გეგმისებურ პროექტს საბჭოთა რუსეთის შესახებ.

„ეს იდეა—სწერს გაზეთი—მდგომარეობს შემდეგში: საბჭოთა კავშირმა უნდა მისცეს ნება მოკავშირეთა კომისიას მატერიალურ შესაძლებლობათა გამოძიებისა. ცხადია, არ შეიძლება ლაპარაკი რუსეთის ფინანსებზე და სახელმწიფო სახსრებზე კონტროლის შესახებ დოუესის გეგმის მეთოდების თანახმად“.

# ვაშინგტონის მეორე კონფერენცია.

ამერიკის პრეზიდენტ კულიჯმა გადასწყვიტა მოიწვიოს ვაშინგტონის მეორე კონფერენცია, რომელზედაც უნდა გაირჩეს საკითხი შეიარაღების განსაზღვრის შესახებ.

დიდმა ბრიტანეთმა და იაპონიამ თანხმობა განაცხადეს კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ.

საბჭოთა კავშირს კი მოიწვევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება ცნობის შესახებ დაწყებული იქნება კონფერენციამდი.

# ჯალათების სასამართლოში.

ესტონელ მეზღვაურს კრინვალდს მთავრობამ დახვრეტა გადაუწყვიტა მხოლოდ იმიტომ, რომ 149 კაცის გასამართლების დროს მან უარი განაცხადა ეზოს დაგვაზე.

(დეპეშებიდან)



ესტონელი მეზღვაური:
— ჯერ ამ მთავარ ნაგავს გადავიტან, რომელიც ჰაერს სწამლავს, შემდეგ კი ეზოს ნაგავსაც ზედ მივაყოლებ.

# რუმინეთის ციხეში.
## 10 დღის შიმშილობა.

რუმინეთის ციხეში (შალავში) 10 დღეა გრძელდება პატიმარ კომუნისტების შიმშილობა.

8 პატიმარი ავად გახდა შიმშილობის ნიადაგზე.

# როგორ არ უნდა სწერო კორესპონდენცია.

მეტად ხშირად ჩვენი სამხკორები სწერენ არშინიან კორესპონდენციებს, რომლებშიდაც არავითარი შინაარსი არ არის და რომლებიც არაფერს ახალს ნაწილის ცხოვრებაზე არ იძლევიან. ეს კი, „რასაკვირველია, დროის, ქაღალდისა და ენერგიის ტყუილად დახარჯვაა. სამხკორმა კორესპონდენცია უნდა სწეროს არა მხოლოდ წერის გულისათვის, არამედ სწეროს იმის შესახებ, თუ რა წარმატებაა, ან ნაკლია ნაწილის ცხოვრებაში. მისი კორესპონდენცია ყოველთვის საქმესთან უნდა იყოს მჭიდროთ დაკავშირებული. ყოველგვარ გაბერილ ფრაზებს მან უნდა ერიდოს და ყოველთვის უნდა სწეროს სხარტად, მოკლედ და შინაარსიანად. ნათქვამია: „გძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“. ეს ბრძნული ანდაზა წითელ-არმიელმა — სამხკორმა არას დროს არ უნდა გაუშვას თავის მხედველობიდან. სამწუხაროდ ჩვენი სამხკორები ნაკლებად მისდევენ ამ გზას. ხშირად მათი ყურადღებას იპყრობს ის, რაც სრულიად უმნიშვნელოა და მათი მხედველობის გარეშე რჩება ის, რაც საინტერესოა და ნამდვილ საქმეს წარმოადგენს.

მაგალითისათვის ავიღოთ ერთი წერილთაგანი, რომელიც მიიღო რედაქციამ ამ დღეებში. ასეთია მისი შინაარსი: „8 იანვარს № ლეგიონში მოწვეული იქნა კომკავშირის კრება, რომელსაც დაესწრო უპარტიო ამხანაგები. კრების გახსნის შემდეგ, ჯგუფის ორგანიზატორმა დაიწყო კომკავშირის დებულების განხილვა. ამხანაგმა მთელი დებულება წაიკითხა მუხლობრივად და თითეულ მათგანზე სათანადო განმარტებას აძლევდა. დებულების შემდეგ ამხანაგებმა შეიტანეს მრავალი შეკითხვები იმის შესახებ, თუ რა მოვალეობა აწევს თითეულ კავშირის წევრს უპარტიო წითელ-არმიელებთან მუშაობის დროს, რაზედაც სათანადო ახსნა-განმარტებები იქმნა მიცემული ორგანიზატორის მიერ. ამის შემდეგ კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომ ის მთელი ენერგიით შეეცდება ამ დებულების ცხოვრებაში გატარებას“.

ასეთია მთელი კორესპონდენციის შინაარსი. გველაპარაკება რამეს ახალს ეს კორესპონდენცია? სრულიად არა. ყველამ იცის, რომ კომკავშირის კრებაზე არჩევენ დებულებას, რომლის შინაარსი ყველამ იცის. მთელი კორესპონდენციაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ კრება მოხდა, დებულება წავიკითხეთ, შეკითხვები იყო და პასუხი გაეცაო.

განა ესაა საინტერესო? არა. საინტერესო მაშინ იქნებოდა, თუ ავტორი შეეხებოდა, მაგალითად, შემდეგ კითხვებს და გააშუქებდა მათ: როგორი განწყობილება იყო, როდესაც არჩევდენ დებულებას? რა შეკითხვები შემოიტანეს? უმთავრესად რომელმა მუხლმა დააინტერესა, დაინტერესდენ თუ არა უპარტიონი წესდებით? როგორი პასუხი გასცეს და სხვ.—აი რა უნდა დაეწერა ამ წერილის ავტორს. მაშინ მისი კორესპონდენციას დიდი ფასი ექნებოდა.

და ასეთი კორესპონდენციები ბევრი მოსდის რედაქციას, რაც, რასაკვირველია, დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

საჭიროა ჩვენმა სამხკორებმა ამ გარემოებას მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება და ეცადონ თავისი წერილები დასწერონ ისე, რომ მკითხველს მიეცეს ნათელი წარმოდგენა იმ საკითხზე, რომელსაც ეხება ის.

აგრეთვე ხშირად სამხკორები იძლევიან რომელიმე კრების მთელ ანგარიშს. მაგალითად სამხკორი სწერს ვრცლად იმის შესახებ, თუ რა ილაპარაკა ამა თუ იმ ამხანაგმა საერთაშორისო მდგომარეობაზე და არაფერს არ სწერს იმაზე, რა მიმდინარე საკითხები გაარჩიეს.

ამ შემთხვევაში კი სრულიად წინააღმდეგ უნდა იყოს. საჭიროა დასწერო ვრცლად მიმდინარე საკითხებზე.

ჩვენი სამხკორები არ უნდა გამოეკიდონ ყველა საკითხების გაშუქებას ერთ წერილში.

ასე არაფერი არ გამოვა. უმჯობესია ერთი კითხვა გააშუქო ვრცლად და რაც შეიძლება შინაარსიანად.

საჭიროა ყოველივე ზემო ნათქვამი გაითვალისწინონ ჩვენმა სამხკორებმა და რაც შეიძლება მოკლე ხანში გამოასწორონ ყველა ზემო ნათქვამი ნაკლი.

—ე.



გენერალი ფინ-იუ-სიანი.

რომელმაც უკანასკნელი გადატრიალება მოახდინა ჩინეთის დედა ქალაქ პეკინში. ეხლა ის იქედან, როგორც დეპეშები იტყობინებიან, გაქცეულა, რადგან შეშინებია მემარჯვენე ელემენტების გაძლიერების.

# ერბეტტის მიერ რწმუნების ბარათის გადაცემის შესახებ.
## საფრანგეთის პრესის გამოძახილი.

ერბეტტის მიერ რწმუნების ბარათის გადაცემის შესახებ კალინინზე, „ტან“-ი სწერს: „საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ნაციონალური ინტერესები ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგებიან. გაზეთი კმაყოფილებას გამოსთქვამს კალინინის განცხადების გამო სხვა სახელმწიფოების საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

„ჟურნალ დე დემა“ აცხადებს, რომ ერბეტტმა საჩქაროდ უნდა აღძრას საკითხი ზინოვიევის მიერ წარმოთქმულ „შეურაცხმყოფელ და უწესო“ სიტყვის შესახებ. საჭიროა ერბეტმა უარყოს მოსკოვის თეზისი, რომ კომინტერნი დამოუკიდებელია საბჭოთა მთავრობისაგანო.

# ლენინის გარდაცვალების წლის თავზე.
## საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: კავშირის მთელ ტერიტორიაზე ლენინის გარდაცვალების დღეს, 21 იანვარს 18 საათიდან და ოცი წუთიდან 18 საათამდი და ოც წუთამდი დახრილ იქნას ყველა სახელმწიფო „ფლაგები“, რომლებიც აღმართული არიან საბჭოთა კავშირის მთავრობის, საკავშირო რესპუბლიკების მთავრობების ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებების, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების შენობებზე, აგრეთვე საელჩოებზე, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის შენობებზე უცხოეთში და საბჭოთა კავშირის სამხედრო და სავაჭრო გემებზე.

## ჯალათების სასამართლოში.

ამ დღეებში რეველის სამხედრო-საოლქო სასამართლომ მიუსაჯა დახვრეტა მეზღვაურ კრინვალდს იმისათვის, რომ მან 149 კაცის გასამართლების დროს უარი განაცხადა ეზოს დაგვაზე.

უკანასკნელ სიტყვაზე კრინვალდმა უარი სთქვა და დაცინვით განაცხადა:

„მე არაფერი მაქვს სათქმელი“.

## ხელშეკრულება ნორვეგიულად.

ნორვეგიის მთავრობამ დროებით გაათავისუფლა ციხიდან ნორვეგიის მუშათა პარტიის დეპუტატები ოლსენი, დაგენი და ტრანმელი, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ ანტიმილიტარისტული [(დაპყრობითი ხასიათის) ბრძოლის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის.

## ესპანელ კომუნისტ მორენის დაპატიმრების შესახებ.

ესპანეთის კომუნისტ მორენის დაპატიმრების შესახებ როსტას თანამშრომელს შემდეგი ცნობა გადასცეს კომინტერნში:

„ტყუილია, თითქოს მორენი მოსკოვიდან მოსულიყოს. პოლიცია რამდენიმე წელია სდევნის მორენს, ვინაიდან ის გონიერი და ენერგიული მომუშავეა. ესპანეთის კომპარტიის უკანასკნელ კონფერენციაზე ის არჩეულ იქნა ცეკას დროებით თავმჯდომარედ. როცა ცეკას წევრების უმეტესობა დაპატიმრებულ იქნა, მთელი მუშაობა დააწვა მორენს.

„„ოხრანკამ“ დააპატიმრა მორენი და საჭიროდ დაინახა შეეთხზა ჭორი, რომ მორენი მოგზაურობდა მოსკოვში საagitaციო ინსტრუქციებისათვისო.

## ერთ და იმავე დროს.

ამ დღეებში გაათავისუფლენ ციხიდან ქალაქ იასის სტუდენტები ფაშისტები-მოცი, მირონოვიჩი და ნოცესკუ. იმავე დროს სწარმოებს კომუნისტების მასიური დაპატიმრება.

## ბალტიის კონფერენციის წინ.
### ბურჟუაზიის დასამშვიდებლად.

გელსინგფორსში გამგზავრების წინ ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მეიეროვიცმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ კონფერენცია განიხილავს აგრეთვე საკითხს **კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ცალკე ქვეყნებშიო.**

## ქურდმა ქურდი გაჰქურდა.

ლატვიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკამ განიხილა საკითხი ბალტიის სახელმწიფოების კავშირის შექმნის შესახებ და დაადგინა წავიდეს პოლონეთთან კავშირის წინააღმდეგ, ვინაიდან ის (პოლონეთი) სცდილობს გაავრცელოს თავისი ბრძანებლობა ბალტიის სახელმწიფოებზე.

## მასიური დაპატიმრება.

რეველის პოლიციის მრავალი უმაღლესი თანამდებობის პირები გადააყენეს და გადასცეს სამხედრო სასამართლოს.

მათ ბრალად ედება უმოქმედობა 1 დეკემბრის აჯანყების დროს.

დააპატიმრეს სახელმწიფო კრების წევრი ველტი, რომელსაც ბრალი ედება აჯანყების მონაწილეობაში.

დააპატიმრეს რამოდენიმე ათეული კაცი პრენსბურგის მაზრაში და ნარვაში.

## ესეც ჯარიმა.

ესტონეთის ბანკებისა და სავაჭრო—სამრეწველო წრეების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს წარუდგინონ მთავრობის თავმჯდომარეს დეკლარაცია მოთხოვნილებით, რათა მოახდინონ იძულებითი დაბეგვრა მოქალაქეების, წლიურად 200 მილიონი მანეთით. ეს შემოსავალი უნდა მოხმარდეს ფაშისტურ დაცვის ლიგას.

## აჯანყებულთა მოძრაობა ალბანეთში.

მოდის ცნობები აჯანყებულთა მოძრაობის შესახებ ახმეტ—ზოგუს წინააღმდეგ, რომელიც ფანოლის მთავრობის გაქცევის შემდეგ გამაგრდა სკუტარის რაიონში.

## უ-პეი-ფუ კვლავ გაძლიერდა.

უ-პეი-ფუს მომხრეები კვლავ ძლიერდებიან. შანხაისთან დამარცხებული ჩრდილოეთ ჩინეთის ჯარები—11.000 კაცი გაიქცენ უცხოეთის კონცესიების ტერიტორიაზე. შანხაის ჩინეთის ნაწილი დაარბია ჯარისკაცებმა და მოსახლეობა გარბის უცხოეთის რაზმებთან და აფარებენ მათ თავს.

სუნ-ჩუან-ფანმა აცნობა მთავრობას, რომ ის სცნობს მის ძალაუფლებას და მის გამოსვლას მიზნად ჰქონდა ხალხის ინტერესების დაცვა.

მარშალი ლუ-იუნ-სიანი აპირებს შეუტიოს აჯანყებულებს და ელოდება მაკედონიიდან გამოგზავნილ მაშველ ჯარებს.

## ფინ-იუი-სიანი შეშინდა.

გენერალ ფინ-იუი-სიანი, რომელიც ხელმძღვანელობდა პეკინის უკანასკნელ გადატრიალებას, უეცრად გაემგზავრა პეკინიდან კალგანში თავისი მხლებელთა და ოჯახით. ამის მიზეზად ასახელებენ იმ ფაქტს, რომ გენერალი ფინ-იუი-სიანი შეშინებულია მემარჯვენე წრეების საქმიანობით, რომლებიც აწარმოებენ პროპაგანდას მის წინააღმდეგ.

## ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის წინ.

პრესაში გამოქვეყნებული იყო ცნობა მომავალ ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის შესახებ; ამის შესახებ როსტას კორესპონდენტს საბჭოთასა ელჩოში (პეკინში) აცნობეს შემდეგი:

„საკითხი კონფერენციის შესახებ განხილულ იყო წასულ წლის ნოემბერში. დანიშნული იყო აგრეთვე კონფერენციის გახსნის დღე და ადგილი, მაგრამ ხელი შეუშალა ჩინეთის მთავრობის უეცარმა გამოცვლამ.

საჭიროა აგრეთვე, რათა წინასწარ მოხდეს შეთანხმებ[...] პეკინსა და მუკდენს შორის, რათა არ მოხდეს ერთ და იმავე დროს ორი კონფერენცია.

## საფრანგეთის კომპარტიის ყრილობისათვის.

16 იანვარს გაიხსნა საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა. ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით „იუმანიტე“ მოჰყავს შემდეგი ცნობები პარტიის მდგომარეობის შესახებ.

რეორგანიზაცია (ცვლილება) მთავრდება. პარიზის ოლქის ფედერაცია სრულიად გადაკეთებულია ფაბრიკა-ქარხნების უჯრედების პრინციპებზე. ჩრდილოეთი ფედერაციაში ირიცხებ[...] 300 უჯრედი.

სექტემბერში სენასა და უაზის დეპარტამენტის ორგანიზაციებში ითვლებოდა 10.00[0] წევრი, დღეს კი-17. 000.

## საფრანგეთის კომპარტია-ლენინის გარდაცვალების წლის თავზე.

ლენინის გარდაცვალების წლის თავზე საფრანგეთის კომპარტია აწყობს მრავალრიცხოვან მიტინგებს პარიზში და პროვინციებში. „იუმანიტე“ მიუძღვნის ლენინის ხსოვნას სპეციალურ ნომერს. გამოშვებულ იქნება განსაკუთრებული ბროშურა სათაურით— „ლენინ[ი] და საფრანგეთი“ და მედალიონ[ი] ლენინის სურათით.

შემდეგ კვირაში გაიმართებ[ა] გაძლიერებული პარტიული მუშაობა.

## მასწავლებელთა საკავშირო ყრილობა.
### მასწავლებლობა ესალმება რემედასს.

16 იანვარს საღამოს სხდომაზე იაროსლავის გუბერნი[ის] მასწავლებელმა ვოლკოვმა ყრილობის სახელით შემოიტანა წინადადება გაეგზავნოს რემედასს სალამი, რომ მასწავლებლობ[ა] ყოველ ღონის ძიებას იხმარს მშრომელთა მასების მისა ზიდვა[...] რემედასის რიგებში.

წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

### წითელი დროშა მოსკოვის გარნიზონისაგან

მოსკოვის გარნიზონის ნაწილების სახელით ყრილობ[ას] მიესალმა ლიშჩუკი და გადასცა წითელი დროშა.

წითელი არმია-განაცხადა ლიშჩუკმა ეუბნება მასწავლებ[ე]ლს: „იყავი მზად ბრძოლისა და გამარჯვებისათვის.“ გაერთია[...]ნების ნიშნად მოსკოვის გარნიზონი გიძღვნის თქვენ წითელ დროშას და ღრმადა სწამს რომ თქვენ განახორციელებთ ქალ[ა]ქისა და სოფლის დაახლოების იდეას.“

დელეგატები მღერიან ინტერნაციონალს. შემდეგ ყრილობას ესალმება მეზღვაურთა წარმომადგენლები.

### სრულიად კავშირის მცხოვრებთა აღწერა

მისალმებათა შემდეგ ყრილობამ მოისმინა სტატისტიკუ[რი] განყოფილების წარმომადგენელის მოხსენება მომავალ 192[...] წლის საკავშირო აღწერის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მასწავლებლობამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღო[ს] აღწერაში.

16 იანვარს ყრილობა დაიყო ჯგუფებად და დაათვალი[ერ]ეს განათლების კომისარიატის საცდელ-საჩვენებელი სკოლე[ბ]ი და ფაბრიკა-ქარხნები.

## განათლების მუშაკთა უზრუნველ ყოფა პენსიით.

საბჭოთა კავშირის ცაკმა და სახკომსაბჭომ დაადგინ[ა] შემოღებულ იქნას დამსახურებულ განათლების მუშაკთ[ა] უზრუნველყოფა პენსიით.

პენსიის მიღების უფლება ეძლევა იმ პირთ, რომელ[...]თაც უმუშავია განათლების ასპარეზზე და საბჭოთა ხელისუფ[ლ]ების დროს-ხუთი წელი.

პენსია განისაზღვრება წლიურად 210 მანეთის რაოდე[ნ]ობით.

## კვლავ წყალ დიდობა.

16 იანვარს კვლავ დაიწყო გადიდება მდინარე ნევამ. წყალი გადავიდა ნაპირებზე და დაჰფარა ნავთსადგურის რაიონები.

შუადღისას ქარმა დაიკლო და წყალმაც დაიწია.

მაგრამ 12 საათზე მიღებულ იქნა ცნობა, რომ აზეტერგოფში წყალი გაიზარდა 6 ფუთით.

მთელი ბალტიის ფლოტი მზად არის წყალდიდობის წინააღმდეგ საბრძოლველად.



## რაშია საქმე?

აგერ თითქმის სამი თვეა მას შემდეგ, რაც პირველ ლეგიონის უფ-პოლიტშემადგენლობას „ევკოგრუზზმა“ ლეგიონის განყოფილების საშვალებით ჯამაგირიდან დაუქვა კოოპერატივის საწევრო გადასახადისათვის თითო მანეთი. ჩვენთვის, ამ თანხის გადახდის შემდეგ, როგორც კოოპერატივის წევრებისათვის უნდა დაერიგებიათ ჩვეულებრივი წესით საწევრო წიგნაკები, მაგრამ მიუხედავათ არაერთ გზის მიმართვისა ასეთები დღესაც არ მოუციათ. როგორც ვიცით, „ევკოგრუზის“ მთავარ მაღაზიაში წევრებს შეღავათი აქვთ საქონლის ყიდვისას და ამიტომ ჩვენი ოჯახური მდგომარეობა მოითხოვს, ჩვენც ვისარგებლოთ კოოპერატივის შეღავათებით.

რატომ არ გვაძლევთ წიგნაკებს, რაშია საქმე?

**იქაური.**

## წითელ არმიელს ეს არ შეეფერება.

პირველ ლეგიონში გვყავს ერთი მებუკე (სიგნალისტი) წითელ არმიელი, რომელიც თავისი უზნეო ჩვეულებით ცუდ გავლენას ახდენს სხვა წითელ არმიელებზე. ერთ სიტყვას არ იტყვის ისე, რომ უწმაწური გინება არ დააყოლოს ზედ. ამ ამხანაგს დიდ გმირობათ და სასახელოდ მიაჩნია ის, რომ ყოველდღე ახალ-ახალი უტიფარი სიტყვები მოიგონოს. გავა ლეგიონის ეზოში, შამოიკრებს არმიელებს გარშემო და ვინ იცის რა საშინლად არ ილანძღება.

ამას თავი დავანებოთ ხშირიდ გადის ქიშკრის გარედ, მოუდგება გვერდში ვიღაც ამქრებს და გააქვს და გამოაქვს გამვლელ-გამომვლელები. ნუ თუ წითელ-არმიელის სახელწოდებას შეეფერება ასეთი საქციელი?

არა ნაკლები დამნაშავენი არიან ის უფროსები, რომელნიც უყურებენ ამ ამხანაგის საქციელს და არაფერს ეუბნებიან. სხვა რომ არა იყოს რა ლეგიონის და საერთოდ წითელ-არმიელის სახელს არცხვენს მისი ასეთი საქციელი.

სამხკორი **სიმართლის მოყვარული.**

## ბიბლიოთეკა ლენინის დღეებში.

ამ დღეებში ბიბლიოთეკა აყენებს ასეთ ლოზუნგს: „ბიბლიოთეკის ყველა მკითხველი უნდა იცნობდეს ლენინის ცხოვრებას და მოღვაწეობას“. შედარებით ასეთ მარტივ ამოცანად უნდა დავიწყოთ ჩვენ ლენინიზმის პროპაგანდა ბიბლიოთეკებში, რაც სრულიად დააკმაყოფილებს საბიბლიოთეკო ცოდნის რეზოლიუციის თანახმად, არის ბიბლიოთეკის მთელი პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის საფუძველი.

დღევანდლამდე ჩვენს ბიბლიოთეკებს არ აქვთ შემოღებული ის მეთოდები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს ბიბლიოთეკამ ლენინის წიგნთან მუშაობის და ლენინიზმის პროპაგანდის დროს.

საჭიროა ახლავე წამოყენებულ იქმნას საკითხი ამ მეთოდების შემუშავებისა, რომ ლენინის წიგნთან მუშაობის პირველ ნაბიჯისთანავე მივსცეთ მას მიზანშეწონილი და სისტემატიური ხასიათი.

ლენინის სიკვდილის ერთი წლის თავზე ჩვენი მიზანია გავაცნოთ მკითხველებს მისი ბიოგრაფია, რადგანაც აქ ჩვენ ვხელმძღვანელობთ მისივე პრინციპით „სჯობია ცოტა და კარგი“. საბიბლიოთეკო მუშაობაში ეს ნიშნავს, რომ სჯობია გავსწიოთ პროპაგანდა უფრო ცოტა წიგნებზე, მაგრამ კარგ წიგნებზე და რაც შეიძლება ფართედ გავავრცელოთ ისინი.

ლიტერატურა ამ საკითხის შესახებ დივიზიის ბიბლიოთეკებში შედარებით საკმარისად მოიპოვება. ჩვენ გვაქვს ლიტერატურა ქართულ ენაზე მკითხველთა სხვა და სხვა ჯგუფებისათვის, რომელიც შეიძლება დავანაწილოთ ამ გვარად:

I. სუსტათ მომზადებულთათვის:

1) ნევსკი. ლენინი.

2) ხოდოროვსკი. ვ. ი. ლენინი.

3) დროშა №№ 7 და 8.

II. უფრო მომზადებულთათვის:

1) ზინოვიევი. ლენინი.

2) კამენევი. ლენინი და რ. კ. პ. (ბ) ის) ისტორია.

3) ვ. ი. ლენინი (პროფკავშ. საბჭ. გამოც.)

უფრო მომზადებულ მკითხველებს, გარდა ლენინის ბიოგრაფიების უნდა ურჩიოთ პოპოვის და იაკოვლევის წიგნი „ლენინის ცხოვრება და ლენინიზმი.“

ამ კამპანიის ჩატარების დროს ბიბლიოთეკებმა რაც შეიძლება ფართედ უნდა გამოიყენონ ხმა-მაღლა კითხვა, რადგანაც გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ხმა-მაღლა კითხვა არის მასიურ მუშაობის საუკეთესო საშვალება. იმ ნაწილებში, სადაც მუშაობენ ბიბ-წრეები, საჭირო მათი გამოყენება ხმა-მაღლა კითხვის ჩატარებაში. ხმა-მაღლა კითხვა უნდა მოაწყოთ როგორც ნაწილის სამკითხველოში, ისე ყველა ლენინის კუთხეებში.

**ბ—ი.**

## გამოასწორეთ ნაკლულევანებანი.

### პირველი ლეგ. კომენდანტის საყურადღებოთ.

გაზ. „წითელ არმიელ“-ში არა ერთხელ აღნიშნულა კომენდანტის საყურადღებოთ, რომ გამოესწორებია ლეგიონის ყაზარმების გათბობის საქმე, მაგრამ აქამდე არ შეუკეთებიათ უკარებო ღუმელები. ცეცხლს ვანთებთ, მაგრამ შეშა უშედეგოთ იკარგება. ყაზარმები არ თბება: ნუ თუ ასე გაძნელდა, რომ კარები გაუკეთონ ღუმელებს? ასეთი მდგომარეობით უფრო მეტი ზარალია. შეშა ბევრი იწვის, ყაზარმები არ თბება და ამას გარდა ადვილად შეიძლება ცეცხლის გაჩენაც. კომენდანტო, შეაკეთებინე 5-თე ასეულის დანგრეული ღუმელები.

სამხკორი შანიძე.

## წრეების მეცადინეობიდან.

ცხენოსანი ლეგიონის წრეებში უკვე დაიწყო ნორმალური მეცადინეობა.

წითელ-არმიელების მთელი გულის ყური აქეთკენ არის მიმართული, რაც მასიურ ხასიათს აძლევს მუშაობას.

გათავდება თუ არა რომელიმე წრეში მეცადინეობა, მომხსენებლის მიერ აღძრული საკითხების ირგვლივ იწყება საერთო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ერთი-ერთმანეთზე იმართება სხვა და სხვა წრეების საინტერესო საუბრები პოლიტიკური ხასიათის, ანტირელიგიური და სხვა, რაც თანდათანობით ხელს უწყობს აქტიურ ამხანაგების ჯგუფების ჩამოყალიბებას.

## წითელ დროშოვან არმიის საჯარიმო ასეულის ცხოვრებიდან.

**ვფიცავთ ყველა დაჯარიმებული არმიელები წითელ ჯარში ერთგული სამსახურით გამოვისყიდოთ ჩვენი შეცდომები და დანაშაული მუშურ გლეხური— ხელისუფლების წინაშე.**

ხსენებულ ასეულში ვიმყოფებით ორმოცდათოთხმეტი დაჯარიმებული ქართველი წითელ არმიელები. მათ შორის 42 წერა-კითხვის უცოდინარები იყვენ. აქამდე ნაკლები ყურადღება გვექცეოდა და არავითარი ზომები არ იყო მიღებული წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. 2 იანვრიდან, როგორც იქნა მოგვექცა ყურადღება. დაგვინიშნეს პოლიტხელი, რომელიც იმავე დროს მასწავლებლის თანამდებობასაც ასრულებს. ამხანაგი ენერგიულად შეუდგა მუშაობას და თავისი საუბრებით დაგვარწმუნა, თუ როგორი შეცდომები და დანაშაული ჩაგვიდენია მუშურ—გლეხური მთავრობის წინაშე.

წერა-კითხვის სწავლას დიდი გულმოდგინეობით ეტანებიან უცოდინარი ამხანაგები.

დიდ მადლობას უცხადებთ ჩვენს მასწავლებელს და პოლიტხელს, რომელმაც ჩაგვაგონა ჩვენი შეცდომები და მეორე მხრივ მთელ თავის ენერგიას ახმარს ჩვენი გათვითცნობიერების საქმეს.

**საჯარიმო ასეულის**
**არმიელები.**

## ჩვენი კოოპერაცია.

### პირველ ლეგ. კოოპერატივი.

პირველ ქარ. მსრ. ლეგიონში გვაქვს კოოპერატიული დუქანი, რომელიც საშუალებას გვაძლევს უფრო ხელსაყრელ ფასებში შევიძინოთ საჭირო ნივთები.

მართალია დღემდის ჩვენი კოოპერატივი ყოველივე ამას პირნათლად ასრულებდა, გვაწვდიდა ყველაფერს, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს კოოპერატივში სრულიად არ მოიპოება აუცილებელი და საჭირო საგნები.

კოოპერატივის გამგეს მართალია ბევრი საგნები აქვს მოტანილი, როგორც არის, პუდრები, გალეტები, ვაზელინები, კანფეტები და სხვა.

მაგრამ ასეთები ჩემის აზრით სულ ზედმეტია იმ დროს როდესაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პაპიროსი, თამბაქო და სხვა. რომლებიც კარგა ხანია რაც კოოპერატივს არ მოეპოვება; ამხ. გამგემ კარგად იცის რომ წითელ არმიელებს თამბაქო აღარ ურიგდება და ამის მაგივრად ეძლევათ ფული, რომლითაც აუცილებლად უნდა შეიძინონ ჩვენი კოოპერატივიდან.

სასურველი იქნებოდა კოოპერატივის გამგე მიაქცევდეს ყურადღებას ამ გარემოებას და პუდრები და გალეტების მაგივრად მოიტანდეს დუქანში თამბაქოს და სხვა აუცილებელ საგნებს.

სამხკორი. ალპი.

## ამბები სოფლებიდან.

### გლეხკომების ყრილობა გურიაში.

გურიის გლეხკომების ყრილობა მოწვეულია 25 იანვრისთვის ქალ. ოზურგეთში.

### აფთიაქები სოფლათ.

შორაპნის აღმასკომმა დაადგინა მაზრაში არსებულ საფერშლო პუნქტებთან მოაწყოს საპუნქტო აფთიაქები.

### ჟურნალ-გაზეთების გავრცელება.

ქუთაისის აღმასკომმა მიანდო განათლების განყოფილების წიგნის მაღაზიას მაზრაში ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმე.

### სამაგალითო რაიონი.

სოფელ კაჭრეთის რაიონში (სიღნაღის მაზრა) სავსებით და სრულიად მოკრეფილ იქნა სასოფლო სამეურნეო გადასახადი დანიშნულ დროზე. სამაზრო აღმასკომმა მადლობა გამოუცხადა რაიონის ადმინისტრაციას.

### ტყავის ქარხანა ქუთაისში.

ქუთაისში არსებულ ტყავის ქარხანაში უკანასკნელ ხანებში ძლიერ მოიმატა შრომის ნაყოფიერებამ.

### ელექტრო სადგურის ამუშავება.

ქიათურიდან მიღებული დეპეშის თანახმად ლენინის გარდაცვალების დღეს ლენინის ხსოვნასთან დაკავშირებით იქ მოხდება ახალი ელექტრო სადგურის გახსნა.

### გორის აღდგენა.

გორის აღმასკომის დადგენილებით მიწის ძვრისაგან დაზიანებული შენობები, რომლებიც კიდევ არ იყვნენ მთლათ დანგრეულნი უნდა დაინგრენ და მათ მაგიერ აშენდენ ახალი შენობები.

## პარტიული ცხოვრება

### გაერთიანებული კრებ.

10 იანვარს შესდგა პირველი ლეგიონის მეშვიდე ასეულის ახ. კომკავშირელთა და პარტიის წევრების გაერთიანებული კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენებები: მენშევიკების თანამედროვე ტაქტიკისა და ჩვენი ამოცანების შესახებ და ასეულის მომწყობი კომისიის მუშაობაზე. პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ხომერიკი. ამხანაგმა ვრცლად გააშუქა მენშევიკების მოღალატური პოლიტიკა. კრებამ მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია.

პროლეტარიატის დიქტატურის გასამტკიცებლად საჭიროა მენშევიზმის სრული ლიკვიდაცია. საქართველოს მშრომელები დარწმუნდენ, რომ მენშევიკების გზა დაღუპვისაკენ მიაქანებს მათ და სწორედ ამიტომ შეგნებულად ზურგი შეაქციეს მათ უკანასკნელად დამარცხების შემდეგ მათ მიმართეს სხვა გზასბრძოლის იდეოლოგიურ ფრონტზე, მათ სურთ განხეთქილება შეიტანონ მშრომელთა მასებში, მაგრამ აქაც ნაცარში ჩაუვარდათ კოვზი. მენშევიკების ახალ ტაქტიკას დაუპირდაპირდება ჭეშმარიტი ლენინიზმი. ძირს საერთაშორისო მენშევიზმი და მისი ახალი ტაქტიკა ჩვენში. გაუმარჯოს ლენინიზმს და პროლეტარულ რევოლიუციას მთელ მსოფლიოში.“

პარტკორი **დ. ცინცაძე.**

### 1-ლ ლეგიონის პირველ ასეულში.

10 იანვარს შესდგა 1-ლ ასეულის კომუჯრედის მორიგი ღია კრება. დაესწრენ პარტ ამხანაგების უმრავლესობა,“ და ასეულის უპარტიოების მთელი შემადგენლობა. კრებამ მოისმინა მოხსენება მენშევიკების ახალი ტაქტიკის ხაზის შესახებ, სადაც დაწვრილებით იქნა გაშუქებული თუ როგორ ზომებს მიმართავენ ვაჟბატონები. მოხსენების გარშემო კრებამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია ახალი ზომების აუცილებლობა მათ წინააღმდეგ. შემდეგ კრებამ გაარჩია რამოდენიმე ამხანაგების განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ,

შემოტანილი იყო 5 განცხადება. მათ შორის კრებამ 1-პარტ. კანდიდატი დაამტკიცა პარტიის წევრად და 4 კანდიდატათ. მიმდინარე საკითხებში გაირჩა მრავალი შინაარსის ხასიათის საკითხები, რომლებსაც სათანადო ყურადღება ქონდა მიქცეული.

პარტკორი **შ, კვინიკაძე.**

## სამხეო დარგის საკითხებზე.

### უკანასკნელი ცნობები.

### თუთუნით კმაყოფა.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის რევ. სამხ. საბჭ. პლენუმის კომისიაში ხელ-ახლა წამოიჭრა საკითხი წითელ არმიელთა თუთუნით ნატურალურ კმაყოფაზე და მის მიერ დადგენილია: „ჩაითვალოს მიღებულად, რომ თუთუნის კმაყოფის შემოღება შესაძლებელია, მხოლოდ ჯამაგირის ანგარიშში“. მიღებისთანავე ადგილებიდან ჯარის ნაწილების ამ საკითხის შესახებ შეხედულობისა, ეს კითხვა განხილულ იქნება ს. ს. რ. კ. რ. ს. ს. პრეზიდიუმში. ამაზე უკვე შეკითხულნი არიან 1-ლ ქართული დივიზიის ყველა ერთეულები თავიანთი აზრის გამოსათქმელად.

### დღიური კერძის სარჩოს ფული.

1924-25 საოპერაციო წლის მეორე კვარტალში დღიური კერძის სარჩოს ფული დამტკიცებულია შემდეგი რაოდენობით:

თბილისისთვის-13,08 კ. თბილისის მაზრისთვის-12, 25 კ. ქუთაისისთვის და ქუთაისის მაზრისთვის—12,51 კაპ. ბათუმისთვის და აჭარისთვის—13, 21 კაპ.

# რებუსი № 1



**რებუსის ახსნის წესი.**

ნახატს თუ მძიმე ნიშანი აქვს დასმული, ნახატის სახელს აკლდება იმდენი ასო, რამდენი ნიშანიც უზის. ეს ასოები უნდა გამოაკლდეს სიტყვას იქიდან, საიდანაც ნიშანი უზის. მაგალითად, ჩვენს რებუსში პირველ ნახატის სახელს აკლდება ერთი ასო ბოლოდან. მეორეს-ორი ასო თავიდან და ასე შემდეგ.

**ვინც (წითელ-არმიელებიდან) პირველ რიგში გამოგზავნის რედაქციაში ამ რებუსის ახსნას, მას მშობლებს გაეგზავნება გაზ. „წითელ—არმიელი“ უფასოდ ერთი თვით.**

ამ კერძის სარჩოს ღირებულებიდან უნდა დაეკავოთ ჯარის ნაწილებს ნატურით მიღებული ხორცის ღირებულება სულ 8, 75 კაპ.

**ნაციონალური ფორმა.**

საბჭოთა სოც. რესპ. კავშ. რ. ს. ს. პლენუმის მიერ გამოთქმულია სურვილი ნაციონალურ ჯარის ნაწილებში ახალი ფორმის შემოღების შესახებ. ამაზედ თავიანთი აზრის გამოთქმის შესახებ შეკითხულნი არიან ყველა დივიზიის უფროსები. სალაშქრო ტანისამოსის ნაციონალურ ფორმის შემუშავების დროს უნდა იქმნეს მიღებული მხედველობაში, როგორც მისი გარეგნული განსხვავება, აგრეთვე გამძლეობა.

**ს. შაკუნი.**

# ახალი ამბები.

— **პოლიტ-განყოფილებაში.** 1-ლ ქართ. დივიზ. პოლიტგანყოფილებასთან არსებულ ლენინის კუთხესთან, განზრახულია მოეწყოს სამხატვრო წრე, სადაც შეისწავლიან კედლის გაზეთების გამოცემას და სხვა.

— **სამხედრო კოოპერაცია.** „ევკოგრუზმა“ შეიძინა 100 ძირი ფუტკარი, ბორჩალოს მაულში საკუთარ საფუტკრეს მოსაწყობათ.

— **ალმასკომის დახმარება.** ქუთაისის ალმასკომა გადასდო ადგილობრივ მცველ-მხლებელთა წითელ არმიელების საჭიროებისათვის 150 მანეთი.

— **დასასვენებელი დღეები.** საქ. შრ. სახალხო კომისარიატმა დაადგინა იუქმოს შემდეგი რევოლიუციუონური დღეები: 22 იანვარი 1905 წლის 9 იანვრის მუშებ. დახვრეტის და ლენინის ხსოვნის აღსანიშნავათ, 25 თებერვალი—საქართ. გასაბჭოების დღე, 12 მარტი—პარიზის კომუნის დღე 1 მაისი და 7 ნოემბერი.

— **შეფობა ბავშთა ქალაქზე.** საქ' ცაკმა მიიღო შეფობა ბავშვთა ქალაქ კოჯორზე.

— **შრომის ბირჟასთან.** ახლო მომავალში განზრახულია მოეწყოს წიგნთ-საცავ სამკითხველო უმუშევართათვის.

— **წარმოკავშირის ბინა.** ქალ. ალმასკომმა გადასწყვიტა სასტუმრო „ვიქტორია“ სრულიად დაუთმოს წარმოკავშირს.

— **სამეურნეო იარაღები.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან გამოიწერა 10 ცალი მიწის სათხრელი და 20 სიმინდის საფშვნელი მანქანები.

— **სამარხი ფული.** 1-ლი იანვრიდან დამზღვევმა კასამ გაადიდა დასამარხი ფული 10 მანეთამდე.

# მეცნიერება და ტეხნიკა.

**სამხედრო ტეხნიკის „მიხწევები.“**

**ავტომატიური ყუმბარა.**

საფრაიგეთის სამხედრო სამინისტროს ლაბორატორიამ ხანგრძლივი ცდების შემდეგ შესძლო ავტომატიური ყუმბარების დამზადება. განსაზღვრული მიზნისაკენ გადასროლილი-ისინი მანამდე არ გასკდებიან, სანამ მიაღწევენ ამ უკანასკნელს. მიზანში მისვლამდე კი მათ მოძრაობას იწვევენ რადიო ტალღების საშვალებით.

**150 კილომეტრის მანძილზე გასროლა.**

ფრანგულ სამხედრო სპეციალური ჟურნალის ცნობით, იქ დაუმზადებიათ ისეთი უზარმაზარი ზარბაზანი, რომელიც ისვრის ყუმბარას 150 კილომეტრის მანძილზე. რომ მოხდეს ისე, რომ ამ ზარბაზნის გამომგონებელმა სახელმწიფომ მოისუროს გერმანიასთან ომი და სათანადო დახმარებაც მიიღო მისი ვასალების პოლონეთის და ჩეხო-სლოვიისაგან აქ მისი სახელმწიფოს ჯარები ისე გაანადგურებენ გერმანიის ზოგიერთ ოლქებს, რომ არ გადასცილდებიან თავის სახელმწიფოს საზღვრებს.

**800 საომარი გემები.**

ინგლისის ფლოტის უკანასკნელ მანევრებში მონაწილეობას ღებულობდა 800 საომარი გემები, რომელთა შორის ერთია მხოლოდ 1914 წელს აგებული, სხვა კი შემდეგ წლებში.

როდესაც ეს გემები გაიშალენ საომარ წყობილებაში, მათ დაიკავეს 60 კილომეტრის სიგრძის მანძილი.

**მფრინავი დრედნოუტები.**

ინგლისის სამხედრო ფლოტი ძლიერ გამრავლდა დაჯავშნული ჰაეროპლანების მთელ სერიებით. ამ აპარატებს, მიუხედავათ თავისი მნიშვნელოვანი სიმძიმისა შეუძლიათ დაყონ ჰაერში ძირს დაუშვებლად სამი დღე და ღამე.

ისინი შეიარაღებული არიან ტყვიამფრქვევებით, ყუმბარის და ნაღმის მტყორცნელებით.

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. ლიდაშვილს.** „ბატონის მაგივრად ძმები გაიჩინეს“ — წვრილმანია. არგავა.

**ამხ. სუფსის პირელს.** გვაცნობეთ გვარიდა სახელი. უამისოდ თქვენი კორესპონდენცია არ დაისტამბება.

**ამხ. ლაკბის პირელს.** თქვენი ლექსი არ გამოდგა.

**ამხ. კოდუას.** თქვენი ნეკროლოგი დ. კ. დაგვიანებულია. არ გავა.

**ამხ. ამხ. უფლისაშვილს და** სიმართლის მოყვარულს თქვენი კორესპონდენციები: „რა შეიძლება დაახჭარეთ“, „მამადაშვილობას ადგილი არ უ... და კონდეს“ არ დაიბეჭდება.

**ამხ. ცხენისწყლის პირელს** თქვენი კორესპონდენცია „თ... ხედური მოპყრობა“ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

პასუხისმგებელი
რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

# სამხედრო საქმე.

**დ ა ზ ვ ე რ ვ ა.**

**მიზანი და მნიშვნელობა.**

ყოველი არმიის, რომელი ქვეყნისაც არ უნდა იყოს ის და რანაირი ორგანიზაციაც არ უნდა ქონდეს, მთავარ მიზანს შეადგენს მტრის დამარცხება სულ მოკლე ხანში, ისე რომ, თვითონ ამ თავისი გამარჯვებისათვის დახარჯოს რაც შეიძლება უმცირესი ძალა და საშუალებანი.

გამარჯვების საუკეთესო საფუძველს იძლევა მხოლოთ ღრმად მოფიქრებული და ყოველმხრივ მომზადება სახელმწიფოსი, მისი პოლიტიკის და სტრატეგიის ამოცანების სრული შეთანხმებით.

ტეხნიკის ამ უაღრეს განვითარების ხანაში, თანამედროვე ომი, რომელიც თან იყოლიებს მთელ ერს და სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეებს, თხოულობს შეიარაღებული ძალის ფრიად და სერიოზულ მომზადებას. ეს მომზადების საქმე კი არის ძლიერ რთული და საპასუხისმგებლო. თანამედროვე სამხედრო მოქმედებათა გრანდიოზული სიდიდე აიძულებს სახელმწიფოს ომისათვის მოსამზადებლად დასჭიმოს მთელი თავისი ძალა.

პირველი ნაბიჯი გამარჯვებისაკენ არის მოხერხებული

**საომარი გეგმის მომზადება.**

ამ გეგმის შესადგენად საჭიროა იმის ცოდნა, თუ ვისთან გექნება ომი, რანაირი იქნება მოწინააღმდეგის ძალა და რა ადგილებში მოგიხდება მასთან შეტაკება, აი ამ ცნობების მიღება სწარმოებს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ყოველ მხრივი დაზვერვით.

ეს დაზვერვა სწარმოებს განუწყვეტლივ ჯერ ისევ მშვიდობიანობის დროს (სააგენტურო დაზვერვა) და გრძელდება ომის დროსაც.

ამ ცნობების მიხედვით ოპერატიული ნაწილი შეადგენს სათანადო საომარ მოსაზრებებს.

დაზვერვის უდიდესი მნიშვნელობა უფრო იზრდება ომის დროს, როდესაც თითეულ სარდალს (მეთაურს) მუდმივ სჭირია ცნობები მდგომარეობის შესახებ, რათა ამ უკანასკნელის მიხედვით ადგინოს ესა თუ ის განკარგულება.

ამ დროს დაზვერვის საგნები არიან:

1) თვით მტერი და
2) ადგილმდებარეობა.

მტრის შესახებ საჭიროა ცოდნაც: სად იმყოფება ის, რა ძალა აქვს და რას აკეთებს, ადგილმდებარეობის შესახებ—საერთო ხასიათი, გზების თვისება, ადგილობრივი დაბრკოლებანი, პოზიციები, დასახელებული პუნქტები, ადგილობრივ მცხოვრებთა მდგომარეობა და მათი საშუალებანი.

დაზვერვისაგან მიღებული ცნობები მეთაურს აძლევენ საფუძველს მოქმედების გეგმის შედგენისა და ოპერატიული განკარგულებების შედგენისათვის.

რაც უფრო სწორი და დაწვრილებითი ცნობები ექნება მზვერავებს, რაც უფრო ფართედ გადუშლიან ისინი მეთაურს მდგომარეობის სურათს, მით უფრო სისწორით იქნება უკანასკნელის მიერ მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილება.

დაზვერვის უფროსს შეუძლია ზედმიწევნით შეასრულოს მაზე დავალებული საქმე მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ღრმად ეცოდინება უფროსის გეგმა და ის, თუ რანაირი ცნობა უფრო საჭიროა უკანასკნელისათვის ყოველი ცალკე ოპერაციის ჩატარების დროს.

ბრძოლის ელემენტს შეადგენენ: ადამიანი, იარაღი, დრო და ადგილმდებარეობა. სამხედრო თვალსაზრისით ამ ოთხ ელემენტს აქვს დადებითი და უარყოფითი ე. ი. ძლიერი და სუსტი მხარეები და აი ამ მხარეების ცოდნა აუცილებელია სამხედრო ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ განვითარებული იქნეს თავისი ძლიერი მხარეები, მხოლოდ მოწინააღმდეგეში—კი მონახული იქნეს სუსტები.

გამარჯვების მისაღწევად მოწინააღმდეგის სუსტი მხარეების ცოდნაა საჭირო, მაშასადამე მისი ელემენტების შესწავლა, ეს-კი შეადგენს დაზვერვის საგანს.

მტრის სუსტი და ძლიერი მხარეების ცოდნას მნიშვნელობა აქვს როგორც აქტიური, ე. ი. შეტევის აგრეთვე პასიური ე. ი. თავდაცვის მიზნებისათვის.

პირველ შემთხვევაში მტრის ცოდნა უზრუნველჰყოფს გამარჯვებას, მხოლოდ მეორეში —კი არ იქნება მოულოდნელი მისი მოქმედება.

ყველა ზემო ჩამოთვლილი საერთო დებულებანი დაახლოვებით ნათელ-ჰყოფენ იმას, თუ რანაირი მნიშვნელობა აქვს საზოგადოთ დაზვერვის საქმის ზედმიწევნით ცოდნას.

ამისათვის საჭიროა მშვიდობიანობის დროსვე იქნეს მიღებული ენერგიული ზომები, რათა საბრძოლო მომზადების ამ დარგს მიექცეს დიდი ყურადღება.

**თვითეული რიგის წითელ-არმიელი იმავე დროს უნდა იყოს მზვერავიც.**

ანთაური.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის ბიურო კოლექტივი აცხადებს რომ ბიურო კოლექტივში შემოტანილი აქვ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ კანდიდატებათ კანდიდატებს წევრებათ მიღების შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს. ყველა ამხანაგებს და იმ პირებს, რომლებსაც მოეპოებათ ხსენებულ ამხანაგთა საწინააღმდეგო ცნობები, გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერათ.

მისამართი: ავლაბარი 1-ლ ლეგიონის ყაზარმები ბიურო კოლექტივი.

| წითელ არმიელები: | მეთაურები |
| --- | --- |
| 1) ცერცვაძე მიხეილი | 1) მაღალაშვილი ნიკოლოზ |
| 2) ბულია ისაკი | 2) მაჭარაძე დავით |
| 3) სანაძე ერასტი | 3) დოლაბერიძე გიორგი |
| 4) საძაგლიშვილი გიორგი | 4) კილაძე ვარლამ |
| 5) გოგინავა გრიგორ | 5) ხვინგია პეტრე |
| 6) ყალიბაია დომენტი | 6) რამიშვილი აკაკი |
| 7) მეტონიძე ლავრენტი | 7) ადამია გრიგოლ |
| 8) ძიძიგური პეტრე უნც. მეთ. | 8) გორგასლიძე პავლე |
| 9) თავაძე სერაფიონ | 9) ვაშაკიძე ნიკოლოზ. |
| 10) ლომიძე ილია | |
| 11) სოფრომაძე ვლადიმერ | კანდიდატები |
| 12) გაგოშვილი პავლე | 1) ოდიშარია აკაკი |
| 13) ბაგაშვილი ნიკოლოზ | |
| 14) თეთრაძე შალვა | |
| 15) ეგნატიშვილი ეგნატე | |
| 16) ბერიშვილი კონსტანტინე | |
| 17) ოდიშარია მირიან | |
| 18) ოჩიგავა მიხეილ | |
| 19) მალიან ოგანეზ. | |

1-ლ ლეგიონის ბიურო კოლექტივის პას. მგ. მდივანი კვირაია.

# განცხადება.

უკანასკნელ ხანებში ჩვენ გაზეთის საშვალებით მივმართეთ დავალიანებულ ამხანაგებს ნაწილობიდან შემოეტანათ წაღებულ მანუფაქტურის ხვედრის საფასური, მაგრამ ამ საშუალებამაც არ გასჭრა.

ამით **ევკოგრუზის** პრეზიდიუმი მევალეებს უკანასკნელად მოაგონებს მათ მოვალეობას. იმ შემთხვევაში თუ ისინი დარჩენილ ვალს არ დაფარავენ იანვრის ჯამაგირიდან, გამგეობა იძულებული იქნება იმათ, ვისაც ვალი არ გადაუხდია, დაუხუროს მაკლე ვადიანი კრედიტი, მოუსპოს წევრობის უფლებები და საქმე გადასცეს სასამართლოს.

**ევკოგრუზის პრეზიდიუმი.**